ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1211984

ნომერი: AR1189100

თარიღი : 03.04.2014

გაცემის თარიღი : 08.04.2014

გაცნობის თარიღი : 09.04.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გუჯაბიძე პ/ნ 01024019678
- თბილისი საბურთალოს ქ. N 36 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სადემონტაჟო შენობა სცდება I კლასის მახასიათებლებს (მოშენების ფართი საჯარო რეესტრის საკადასტრო რუკის მონაცემების მიხედვით შეადგენს 66.54 კვ.მ-ს). გაითვალისწინეთ: I კლასის მახასიათებლებია: 60 კვმ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ–მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირზე საშუალოდ 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. შესაბამისად სადემონტაჟო შენობა/ნაგებობა განიხილება ისეთი კლასის ობიექტად, რომელიც საჭიროებს დემონტაჟის პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველ რიგში "ელექტრონულ განაცხადებში" უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა"; შესაბამისი ფუნქციის ობიექტი; კლასის განსაზღვრის კალკულატორში სწორედ მიუთითეთ საპროექტო ობიექტის პარამეტრები; ქმედებებში-დემონტაჟი" და ა. შ. და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.